ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 33

20 სექტემბერი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:00 სთ

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

გულია გოცირიძე

ანა ლაშხი

ასევე: ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ ღონისძიებების სამსახურის სპეციალისტი სოფიო სიხარულიძე და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები ხათუნა სანამიაშვილი და ნინო აზნარაშვილი.

დღის წესრიგი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე მუნიციპალური, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკის შენობა-ნაგებობების სახელდების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის, თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით დედაქალაქის მასშტაბით 3 მედიათეკა და 35 ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს. ბიბლიოთეკის ფილიალებს, ამ დროისათვის, მხოლოდ ნუმერაცია აქვთ მინიჭებული. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, ხსენებული ბიბლიოთეკებისთვის სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით, კომისიამ ა(ა)იპ ,,ქალაქ თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების" სარეკომენდაციო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ვერსიების საფუძველზე უნდა იმსჯელოს.

კომისიის სხდომა დისკუსიის და კითხვა-პასუხის რეჟიმში საინტერესოდ წარიმართა. სხდომას ესწრებოდა ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების" ღონისძიებების სამსახურის სპეციალისტმა სოფიო სიხარულიძე. როგორც მან განმარტა, ფილიალებისათვის ღვაწლმოსილი ადამიანების სახელების მინიჭება საზოგადოებაში ბიბლიოთეკების ცნობადობის ამაღლებას და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. „სამომავლოდ, ჩვენი სურვილია, რომ თითოეული ბიბლიოთეკის შესასვლელში განთავსდეს აბრა, რომელზეც იმ პიროვნების ბიოგრაფია იქნება დატანილი, ვის სახელსაც კონკრეტული ფილიალი ატარებს"-აღნიშნა სოფიო სიხარულიძემ.

სხდომაზე ბიბლიოთეკების როლზე და ფუნქციებზე, მათ სოციალური და საგანმანათლებლო მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრეს. ნინო აზნარაშვილის ინფორმაციით, ბიბლიოთეკები არაერთი ღონისძიების თუ გრძელვადიანი, საგანმანათლებლო პროექტების მხარდამჭერია. „ფილიალებს ხშირად სტუმრობენ არა მხოლოდ უფროსი თაობის ადამიანები. ეს ცოცხალი პროცესი ძალიან მოსწონთ სკოლის მოსწავლეებსაც, თუმცა მიუხედავად მნიშვნელოვანი როლისა და დატვირთვისა, პრობლემებიც ბევრი გვხვდება. ერთ-ერთი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და პირველ რიგში სახელდების პროცესია."

კომისიის წევრებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად მსოფლიოში საპრეზიდენტო ბიბლიოთეკების არსებობის როლზეც ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ მომავალში უფრო და უფრო აქტუალური გახდება ბიბლიოთეკების ფუნქცია.

რაც შეეხება მედიათეკების სახელდების საკითხს, რაოდენობის მომატებასთან ერთად, კომისია გააგრძელებს მუშაობას და იმსჯელებს დედაქალაქში არსებულ თითოეულ მედიათეკას ასევე ღვაწლმოსილი ადამიანის სახელი მიანიჭოს.

თინათინ ნიბლოშვილმა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე მუნიციპალური, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკის შენობა-ნაგებობების სახელდების პროექტი წარმოადგინა

ფილიალის №	ფილიალის სახელწოდება	ფილიალის მისამართი
1	ძმები ზუბალაშვილების სახელობის	გიორგი ტოვსტონოგოვის ქუჩა N2
2	მირზა გელოვანის სახელობის	ვაჟა-ფშაველას გამზირი N99
3	ეკატერინე თამამშევას სახელობის	წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N61
4	მარო მაყაშვილის სახელობის	ლადო გუდიაშვილის მოედანი
5	მარიამ დემურიას სახელობის	ცოტნე დადიანის ქუჩა N2
6	ლადო ასათიანის სახელობის	გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Iკვ. IIIბ კორპუსი
7	აკაკი შანიძის სახელობის	გრიგოლ რობაქიძის გამზირი, VIკვ. 23ა კორპ.

8	ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის	წყნეთის გზატკეცილი 16/18
9	ოლღა გურამიშვილის სახელობის	ილია ჭავჭავაძის გამზირი N24
10	ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის	წერონისის ქუჩა N164
11	ტერენტი გრანელის სახელობის	ორხევი, გიორგი მუხაძის ქუჩა N6
12	ნოდარ დუმბაძის სახელობის	ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N48 III ა
13	შალვა ნუცუბიძის სახელობის	გლდანი, VI მკრ. Vკორპ.
14	ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის სახელობის	ვაზისუბნის დას.III მკრ. IIკვ. კორპ.16
15	ანთიმოზ ივერიელის სახელობის	გიორგი ლეონიძის ქუჩა N7
16	იონა მეუნარგიას სახელობის	დიდი დიღომი, პეტრიწის ქ. N10
17	გიორგი ქართველიშვილის სახელობის	ნუცუბიძის V პლატო, IV კვ. I კორპ.
18	აკაკი ბაქრაძის სახელობის	გლდანი, VIII მკრ. კორპ. N23

19	ექვთიმე ხელაძის სახელობის	ზაქარია ფალიაშვილის ქ. N41
20	ბარბარე ჯორჯაძის სახელობის	გლდანი, II მკრ. კორპუსი N24
21	ოთარ ჭილაძის სახელობის	ვახტანგ გორგასლის ქ. N37
22	იაკობ მანსვეტაშვილის სახელობის	ვარკეთილის I მკრ. VII კორპ.
23	მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის	დავით აღმაშენებლის გამზირი N75
24	დავით ჩუბინაშვილის სახელობის	გლდანის ხევი, კორპ.N2 მიმდ. ტერიტორია, N185 ბაგა-ბაღის შენობა
25	ილია ოქრომჭედლიშვილის სახელობის	ლილოს დასახლება, II კვ. VIII კორპ.
26	გალაკტიონ ტაბიძის სახელობის	გალავნის ქუჩა N10
27	გიორგი ყაზბეგის სახელობის	მუხიანი, I მკრ. II კორპ.
28	ვიქტორ ბროსეს სახელობის	მოსკოვის გამზირი, IV კვ. II კორპ.
29	შიო მღვიმელის სახელობის	ცოტნე დადიანის ქუჩა N 34, II კორპ.

30	მიხეილ გედევანიშვილის სახელობის	ყვარლის ქ. N107
31	მარჯორი უორდროპის სახელობის	გიორგი ჩიტაიას ქუჩა N7
32	ბორის გაპონოვის სახელობის	ლიბანის ქუჩა N1
33	ვახტანგ როდონაიას სახელობის	კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი N31
34	ბარბარე (ვარინკა) მაჭავარიანი-წერეთელის სახელობის	სოფ. წავკისი, დავით. აღმაშენებლის III ჩიხი
35	მერაბ მამარდაშვილის სახელობის	ვარკეთილი, ზემო პლატო, კორპუსი N50, II სართული

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე კომისიის წევრებმა ა(ა)იპ ,,ქალაქ თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ წარმომადგენლებთან ერთად მათ მიერ სახელდებისთვის წარმოდგენილი ვერსიების შესახებ იმსჯელეს და ბიბლიოთეკების შენობა-ნაგებობების სახელდების პროექტს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, ბიბლიოთეკების სახელდების ინიცირების საკითხი თბილისის საკრებულოს ოფიციალურ გვერდზე განთავსდება, რის შემდეგაც დაიწყება საკითხის საჯარო განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

20 სექტემბერი , 2019 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	ა. ლაშხი
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი